ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ფსიქოლოგიისა და განათლების
მეცნიერებათა ფაკულტეტი

IVANE JAVAKHISHVILI
TBILISI STATE UNIVERSITY
FACULTY OF PSYCHOLOGY AND
EDUCATIONAL SCIENCES

№ 006 "10" 12 2014 წ.

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის

დეკანის ბრძანება N 6

პროგრამის"სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს" ფარგლებში სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე 2014-2015 წლის შემოდგომის სემესტრში ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტთა ფინანსური წახალისებისათვის კანდიდატთა მიერ წარმოსადგენ დოკუმენტების მიღების, კომისიის შემადგენლობის დამტკიცებისა და კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღების ვადების განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 29–ე მუხლის მე–3 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის 135/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე–5 მუხლის მე–2 პუნქტის, 21–ე მუხლის მე-5 პუნქტის ,,კ“ ქვეპუნქტის, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2014 წლის 8 დეკემბრის №213/01-01 ბრძანების საფუძველზე,

ვბრძანებ

1.განისაზღვროს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის, პროგრამის „სახელმწიფო სტიპენდია სტუდენტებს“ ფარგლებში, სტიპენდიების მიღების მოთხოვნისას წარმოსადგენი საბუთების ნუსხა და საბუთების მიღების ვადა;

2. სტიპენდიის მიღების მსურველმა სტუდენტებმა, უნდა წარადგინონ შემდეგი დოკუმენტები:

ა) პირადი განცხადება ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის სახელზე;

ბ) პირადობის მოწმობის ასლი;

გ) წინა სემესტრის განმავლობაში ჩატარებულ სამეცნიერო სტუდენტურ კონფერენციებში მონაწილეობის/გამარჯვების დამადასტურებელი სერტიფიკატის ასლი და კონფერენციის პროგრამა;

დ) გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომის ქსეროასლი, სადაც ნაჩვენები იქნება კრებულის დასახელება, კრებულის სარჩევი, ნაშრომის სათაური, გამოცემის ადგილი და პერიოდი;

ე) საბანკო რეკვიზიტი საქართველოს ბანკიდან (ანგარიშის ნომრის ამონაწერი საქართველოს ბანკიდან), პირადი სტუდენტური ანგარიშის ნომრის მითითებით;

ვ) ცნობა იმის თაობაზე, რომ სამეცნიერო ნაშრომის გამომქვეყნებელ ელექტრონულ გამოცემაში, ნაშრომის გამოქვეყნებამდე ხორციელდება რედაქტირება.

3. საბუთების მიღება იწარმოებს ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტთა საინფორმაციო მომსახურების ცენტრში - თსუ III კორპუსი, 107-ე ოთახი, 9-დან 12 დეკემბრის ჩათვლით 10-დან 17 საათამდე.

4. შეიქმნას სტიპენდიით დაფინანსებისთვის შესარჩევ კანდიდატთა შეფასების კომისია შემდეგი შემადგენლობით:

1) შალვა აბზიანიძე-ფაკულტეტის დეკანის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი (კომისიის თავმჯდომარე);

2) მაია მესტვირიშვილი- ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;

3) ზაქარია ქიტიაშვილი- ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორი;

4) თამარ ხიდაშელი- ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი;

5) ქეთევან ბაქანიძე- ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

6) ინა ბუროვა-ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

5. კომისიამ სტიპენდიით დაფინანსებისათვის შესარჩევ კანდიდატთა შეფასება განახორციელოს არაუგვიანეს 2014 წლის 16 დეკემბრისა;

6. ბრძანების შესრულებაზე კონტროლს განვახორციელებ პირადად;

7. ბრძანება ძალაში შევიდეს გამოცემისთანავე.

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა მეცნიერებათა

ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელი თამარ გაგოშიძე